

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

ლ ა შ ა რ უ რ უ ა

პრიზმატულ კალაპოტებში წყლის ნაკადის თავისუფალი
ზედაპირის მრუდების აგების გამარტივებული მეთოდი

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2012 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრ. პროფესორი ტარიელ კვიციანი

რეცენზენტები: სრ. პროფესორი იური ქადარია
ტ.მ.დ., გია გიგიბერია

დაცვა შედგება 2012 წლის 12 ივნისს 14⁰⁰ საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, I კორპუსი, აუდიტორია 507ა.

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 72.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და სტუ-ს ვებ გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი

სრ. პროფესორი მ. კუბლაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომის აქტუალურობა. ქვეყანაში ახალი მიწების ათვისებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, სულ უფრო ფართოვდება სამელიორაციო სამუშაოები. მათგან, იზრდება დამშრობი და საირიგაციო არხების რაოდენობა. ამავდროულად, დამშრობ სისტემებში არსებული დამშრობი და საკოლექტორო არხების უმეტესი ნაწილი საჭიროებს განახლებას, რეკონსტრუქციას და ზოგიერთ შემთხვევაში, ხელახალ აგებას.

ამჟამად, მხოლოდ კოლხეთის დაბლობზე არსებობს რამდენიმე ათასი დამშრობი არხი და კოლექტორი, რომელთა ფსკერის დახრა ნულოვანია და მნიშვნელოვანი სიგრძე აქვს. ძირითადად, მათი განივკვეთი ტრაპეციისებრია, ჩალაგებულია თხრილში და ზოგჯერ ტარდება მისი რეკონსტრუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არხები აგებულია წყლის ხარჯის მაღალი გამტარობის გათვალისწინებით, ხშირად ვერ ატარებს გაანგარიშებულ მოცულობას და წყალი ზემოდან გადმოდის, რაც იწვევს მოსაზღვრე ტერიტორიების, მათგან ერთად კი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დატბორვას და დაჭაობებას. წყალი ყოვნდება ველზე და არხებშიც, ირღვევა სატუმბი სადგურების მუშაობის გრაფიკი (დამშრობი სისტემისა, თუ ასეთი არის) და მთლიანობაში, გაშრობა-მელიორაციის ეფექტურობა.

დამშრობი და სარწყავი სისტემების გამართული მუშაობის გარანტია სწორი ჰიდრავლიკური გაანგარიშება, აგრეთვე ისეთი დამშრობი და სარწყავი ქსელი-არხების აგება, რომლებიც საიმედოდ განსაზღვრავს წყლის ნაკადის ხარჯს დამშრობ და სარწყავ არხებში.

სწორედ ამ აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება ეს ნაშრომი.

სამუშაოს მიზანია საქართველოში არსებული სარწყავი და დამშრობი არხების მუშაობის მდგომარეობის შესწავლა და გამოკვლევა. ნატურული და ლაბორატორიული ექსპერიმენტების, აგრეთვე ჰიდრავლიკური კვლევების მეთოდების გამოყენებით დადგენა ფაქტორებისა, რომლებიც ფსკერის პირდაპირი და ნულოვანი ქანობის სარწყავ და დამშრობ არხებში წყლის ნაკადის მოძრაობის პროცესზე მოქმედებს მდოვრედ ცვლადი რეჟიმის დინებისას.

პრიზმატულ კალაპოტებში გამოვიკვლიოთ სითხის დამყარებული არათანაბარი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებები მუდმივი და ცვლადი სითხის ხარჯის შემთხვევებში; ამავდროულად, გამოვიკვლიოთ, პრიზმულ კალაპოტებში ნაკადის თავისუფალი ზედაპირების ფორმები, აგრეთვე არხის საფეხურიდან ძირს ვარდნილი ნაკადის მოხაზულობა – ტრაექტორიის განტოლება.

ამოცანის გადასაწყვეტად პრიზმული არხ-კალაპოტების სწორი ჰიდრავლიკური გაანგარიშების მიზნით, ჩატარდეს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები.

ექსპერიმენტების ჩატარების მიზნით, გამოვიყენოთ განზომილებათა თეორიისა და ექსპერიმენტების დაგეგმვის მეთოდიკა შეზღუდული კლასიკური გეგმით, რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ ექსპერიმენტების რაოდენობა. საანგარიშო დამოკიდებულებები გამოვიყენოთ მთელი რიგი გეომეტრიული და კინემატიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის, პრიზმატულ კალაპოტებში წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდების ასაგებად.

კვლევის ობიექტი და მეთოდები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფსკერის პირდაპირი და ნულოვანი ქანობის პრიზმატული არხ-კალაპოტების ჰიდრავლიკური გაანგარიშება თეორიული და ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებით, პრიზმატულ კალაპოტებში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგების გამარტივებული მეთოდის დამუშავება, წყალსატარის საფეხურიდან ძირს თავისუფლად ვარდნილი წყლის ნაკადის ტრაექტორიის განტოლების მიღება.

ნაშრომში გამოყენებულია თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების ჰიდრავლიკაში ფართოდ ცნობილი მეთოდები. საკვლევ ამოცანებში სამიებელი ფუნქციები დამოკიდებულია რამდენიმე ცვლადზე და საჭიროა დავადგინოთ მრავალცვლადიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების მოდელი, მისი ცხადი სახე ცხრილით მოცემული ექსპერიმენტების საფუძველზე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ვიყენებთ პროფესორების ტ. კვიციანის და გ. რურუას მიერ შემოთავაზებულ „მრავალფაქტორიანი საინჟინრო ექსპერიმენტების დაგეგმვას“, რომლის საფუძველზე ყოველი კონკრეტული ამოცანისათვის ჩვენ მიერ დამუშავდა მეთოდიკა „მრავალცვლადიანი ფუნქციონალური

დამოკიდებულების მოდელი და მისი ცხადი (ანალიზური) სახის დადგენა სრული და შეზღუდული კლასიკური გეგმის გამოყენებით“.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. ტრაპეციულ არხებსა და კალაპოტებში თანაბარი დინების ჰიდრავლიკური გაანგარიშებისას მოცემული Q, b, m, n, i ან v, h, m, n, i სიდიდეების შემთხვევისათვის შედგენილია ნომოგრამები ნაკადის სიღრმისა და წყალსატარის ფსკერის სიგანის განსაზღვრისათვის.

ჩატარებულია პრიზმულ კალაპოტში წყლის ნაკადის არათანაბარი მოძრაობისას თავისუფალი ზედაპირის მრუდების აღმწერი დიფერენციალური განტოლების სრულყოფილი გამოკვლევა. დაზუსტებულია წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის ფორმები. განხილულია დაცემისა და შეტბორვის წირების ნორმალური და კრიტიკული სიღრმეების წრფეთა მიმართ განლაგების ყველა შესაძლო შემთხვევა.

არაპრიზმულ კალაპოტში სითხის ცვლადი ხარჯით მოძრაობის ზოგადი სახის დიფერენციალური განტოლების საფუძველზე (როცა ერთდროულად მიმდინარეობს სითხის არათანაბარი მიერთება და გამოყოფა ნაკადის დინების გასწვრივ) მიღებულია პრიზმულ კალაპოტში ცვლადი ხარჯით სითხის არათანაბარი მოძრაობის ყველა კერძო შემთხვევისათვის დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდს.

პრიზმულ კალაპოტში საფეხურის კვეთის ზემო (დინების საწინააღმდეგო) მიდამოში განსაზღვრულია წყლის ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლები, მიღებულია არხის საფეხურის კვეთში სიჩქარეთა და წნევათა განაწილების კანონი, აგრეთვე ჯამური ჭარბი წნევის გამოსათვლელი დამოკიდებულება.

საფეხურის ქვემოთ თავისუფლად ვარდნილი ნაკადის ტრაექტორიის დადგენის მიზნით, შედგენილია ზემოთა ზედაპირის ჭავლის მოძრაობის დიფერენციალური განტოლება და მიღებულია ჭავლის მოძრაობის განტოლებები გარკვეული საწყისი პირობების საფუძველზე.

ცხრილით მოცემული მრვალცვლადიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების მოდელის განსასაზღვრავად მიღებულია კრიტერიალური პირობები. ამ კრიტერიუმების საფუძველზე მიღებულია ყოველი კონკრეტული

ამოცანისათვის საძიებელი მრავალცვლადიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების ცხადი სახით ჩასაწერი ანალიზური დამოკიდებულება.

დადგენილია შვერილის სიმქისის n კოეფიციენტისა და შვერილის სიმაღლის სიდიდეების ცვლილება, როგორც წყალსადენის საფეხურიდან დაშორების მანძილსა და წყლის კუთრ ხარჯზე დამოკიდებულების ფუნქცია. აგრეთვე დადგენილია წყლის ნაკადის კრიტიკული სიღრმის ადგილმდებარეობა პრიზმულ კალაპოტებში დინების წყნარი რეჟიმისას, წყლის კუთრი ხარჯის, შვერილის სიმაღლის, სიმქისისა და წყლის სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტების მიხედვით.

მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულება წყალსატარის საფეხურის კვეთში წყლის ნაკადის სიღრმის განსაზღვრისათვის, როგორც წყლის კუთრი ხარჯის, წყალსატარის ფსკერის დახრის, შვერილის სიმქისის სიმაღლისა და სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტების მიხედვით.

განსაზღვრულია წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირისა და წყლის ნაკადის სიღრმის ფუნქციურ დამოკიდებულებათა მრუდების მოდელი და მისი ცხადი (ანალიზური) სახე პრიზმულ კალაპოტებში დინების წყნარი რეჟიმისას, წყალსატარის ნულოვანი და პირდაპირი დახრის შემთხვევებში.

მიღებულია დამოკიდებულება, რომლის მიხედვით განისაზღვრება ის მანძილი საფეხურის კვეთიდან, სადაც გვექნება მოცემული სიღრმე. ამ დამოკიდებულებით შეიძლება განვსაზღვროთ ნებისმიერ ორ კვეთს შორის მანძილი და საჭიროების შემთხვევაში, წყლის ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდი ავაგოთ დაწყებული არა საფეხურის კვეთიდან, არამედ წყალსატარის ნებისმიერი სხვა კვეთიდან.

წყალსატარის საფეხურიდან გადადინებული წყლის ნაკადის ტრაექტორიის დასადგენად მიღებულია ნაკადის თავისუფალი ზედაპირის ზედა და ქვედა ჭავლების ტრაექტორათა განტოლებები.

პრაქტიკული მნიშვნელობა და შედეგების გამოყენების სფერო. გამოკვლევის შედეგები მნიშვნელოვნად ამარტივებს და არსებითად აზუსტებს პრიზმულ კალაპოტებსა და არხებში წყლის ნაკადის არათანაბარი მდოვრედ მოძრაობის ჰიდრაულიკურ გაანგარიშებას.

პრიზმული კალაპოტებისა და არხების ჰიდრაულიკური გაანგარიშების რეკომენდებული მეთოდი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ საშრობი არხების

განგარიშებისთვის კოლხეთის დაბლობში, განსაკუთრებით ჰორიზონტალური ფსკერის არხების შემთხვევაში.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები აპრობირებულია „საქწყალპროექტში“, კოლხეთის დაბლობში ზოგიერთი საშრობი სისტემის დაპროექტებისას, თბილისის უმაღლესი საწავლებლების თეორიული მექანიკის საქალაქო სემინარებზე (თბილისი, 1988-90წწ.), „საქწყალპროექტი“-ს ტექნიკური საბჭოს თათბირზე (1989-90წწ.), საქართველოს ჰიდროტექნიკის და ენერგეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ჰიდრაულიკისა და საინჟინრო გეოლოგიის განყოფილების სხდომებზე (თბილისი, 1990წ.), სტუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე (თბილისი, 2011წ.).

პუბლიკაციები. ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატიაში.

დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის, ძირითადი დასკვნებისა და ლიტერატურისაგან (72 დასახელების, მათ შორის 12 უცხო ენებზე), წარმოდგენილია 140 გვ. ნაბეჭდი ტექსტი, 12 ცხრილისა და 48 ნახაზის ჩათვლით.

ნაშრომის შინაარსი

შესავალში მოყვანილია ნაშრომის საერთო შინაარსი, დასაბუთებულია დასმული საკითხის აქტუალობა, განხილულია სარწყავი და საშრობი სისტემების ჰიდრაულიკური განგარიშების მეთოდოლოგია, მეცნიერული სიახლეები და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველ თავში მოცემულია საკითხის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა, პრიზმული კალაპოტების მოკლე დახასიათება, დანიშნულება და გავრცელების არე, ნატურული გამოკვლევების ზოგიერთი მონაცემი. მოყვანილია პრიზმულ არხებსა და კალაპოტში წყლის ნაკადის თანაბარი დინების ჰიდრაულიკური განგარიშების არსებული ფორმულები, შეზის კოეფიციენტის რიცხვითი მნიშვნელობის დასადგენი ფორმულები როგორც ღია, ისე დაწნევიანი არხებისათვის. შეზის კოეფიციენტის გამოთვლისას შემოთავაზებული დამოკიდებულებისათვის გაკეთებულია დასკვნა ამ ფორმულების გამოყენების პირობების შესახებ, აგრეთვე ხორკლიანობის კოეფიციენტის რეკომენდებულ მნიშვნელობათა ცხრილები, რომლებიც

მოითხოვს შესაბამის გადახედვას. ჩვენი აზრით, არასაკმარისად არის შესწავლილი საკითხი ნაკადის არათანაბრობის გავლენის შესახებ, მის წინააღმდეგობაზე.

განხილულია პრიზმულ არხებსა და კალაპოტში თანაბარი დინების ჰიდრავლიკური გაანგარიშების ლიტერატურაში არსებული ამოცანები და მათი ამოხსნის მეთოდები ტრაპეციულ არხებსა და კალაპოტებში. თანაბარი დინების ყველა ჰიდრავლიკური გაანგარიშება წარმოდგენილია სამ ჯგუფად, ე.ი. გაკეთებულია ამოცანების კლასიფიკაცია. პირველ ჯგუფში განხილულია 6 ამოცანა, მეორეში – 5, ხოლო მესამეში – 3. აგებულია ახალი ნომოგრამები იმ ამოცანების გადასაწყვეტად რომლებშიც საძიებელია ნაკადის h სიღრმე და მოცემული სიდიდეებია Q, b, m, n, i ან v, b, m, n, i ; აგრეთვე, იმ ამოცანებისათვის, რომლებშიც საძიებელია წყალსატარის ფსკერის b სიგანე და მოცემული სიდიდეებია Q, h, m, i, n ან v, h, m, i, n .

მეორე თავში მოყვანილია ცხრილით მოცემული მრავალცვლადიანი ფუნქციის მიახლოებითი ანალიზური ხერხით განსაზღვრა. კვლევის პროცესში ხშირად აუცილებელია ცდის მონაცემების მნიშვნელობათა საფუძველზე მოიძებნოს მოდელი, რომელიც მიახლოებით მაინც აღწერს საძიებელ ფუნქციას. მრავალფაქტორიან ინჟინრულ ექსპერიმენტებში მნიშვნელოვანი პრობლემა. არა მარტო საძიებელი ფუნქციის მოდელის დადგენა, არამედ მისი ცხადი (ანალიზური) სახის მიღება.

ტ. კვიციანის და გ. რურუას შრომებში მოყვანილი მრავალცვლადიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების მოდელის კრიტერიალური პირობების საფუძველზე, ჩვენ მიერ დადგენილია ყოველი კონკრეტული ჰიდრავლიკური ამოცანისთვის საძიებელი ფუნქციების მოდელი და მიღებულია მისი ცხადი სახით ჩასაწერი ანალიზური გამოსახულება.

განხილულია მრავალცვლადიანი ფუნქციონალური დამოკიდებულების კრიტერიალური პირობები, ორი ცვლადის ფუნქციისათვის:

$$z = f(x, y), \quad (1)$$

სადაც z განსაზღვრულია R^2 -ზე. შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგი პირობიდან რომელიმე ერთ-ერთს:

$$\frac{f(x, y^{(j+K_2)})}{f(x, y^{(j)})} = \frac{f_1^{(j+K_2)}(x)}{f_1^{(j)}(x)} = C_{1,j}. \quad (2)$$

$$\frac{f(x^{(i+K_1)}, y)}{f(x^{(i)}, y)} = \frac{f_2^{(i+K_1)}(y)}{f_2^{(i)}(y)} = C_{2,i}, \quad (3)$$

$$f(x, y^{(j+K_2)}) - f(x, y^{(j)}) = f_3^{(j+K_2)}(x) - f_3^{(j)}(x) = C_{3,j}, \quad (4)$$

$$f(x^{(i+K_1)}, y) - f(x^{(i)}, y) = f_4^{(i+K_1)}(y) - f_4^{(i)}(y) = C_{4,i}, \quad (5)$$

$$\frac{\lg f(x, y^{(j+K_2)})}{\lg f(x, y^{(j)})} = \frac{\lg f_5^{(j+K_2)}(x)}{\lg f_5^{(j)}(x)} = C_{5,j}, \quad (6)$$

$$\frac{\lg f(x^{(i+K_1)}, y)}{\lg f(x^{(i)}, y)} = \frac{\lg f_6^{(i+K_1)}(y)}{\lg f_6^{(i)}(y)} = C_{6,i}, \quad (7)$$

სადაც $C_1 = f_1(y)$, $C_2 = f_2(x)$, $C_3 = f_3y$, $C_4 = f_4(x)$, $C_5 = f_5(y)$, $C_6 = f_6(x)$,

$k_1, k_2 \in N_0$, $i \in N$, $j \in N$, $x^{(i)} \in R$, $y^{(j)} \in R$.

ნაჩვენებია, რომ (2) და (3) კრიტერიალური პირობების მართებულობის შემთხვევაში, (1)-ის მოდელს აქვს ნამრავლის სახე

$$z = \varphi_1(x) \cdot \varphi_2(y). \quad (8)$$

(4) და (5) კრიტერიალური პირობების მართებულობისას, (1) ფუნქციის მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$z = f(x, y) = \varphi_3(x) + \varphi_4(y). \quad (9)$$

(6) და (7) კრიტერიალური პირობების მართებულობისას, (1) ფუნქციის მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$Z = [\varphi_5(x)]^{\varphi_6(y)}, \quad (10)$$

სადაც $\varphi_1(x)$, $\varphi_3(x)$, $\varphi_5(x)$, $\varphi_2(y)$, $\varphi_4(y)$, $\varphi_6(y)$ არის x და y ცვლადების ნებისმიერი ფუნქციები.

მრავალცვლადიანი ფუნქციის მოდელის დასადგენად ვიყენებთ სრულ და შეზღუდულ კლასიკურ გეგმას. (1)-სთვის სრული კლასიკური გეგმა მოცემულია 1-ელი ცხრილის სახით

y	x	y ⁽¹⁾	y ⁽²⁾	...	y ^(j)	...	y ^(m₂)
x ⁽¹⁾		f(x ⁽¹⁾ , y ⁽¹⁾)	f(x ⁽¹⁾ , y ⁽²⁾)	...	f(x ⁽¹⁾ , y ^(j))	...	f(x ⁽¹⁾ , y ^(m₂))
x ⁽²⁾		f(x ⁽²⁾ , y ⁽¹⁾)	f(x ⁽²⁾ , y ⁽²⁾)	...	f(x ⁽²⁾ , y ^(j))	...	f(x ⁽²⁾ , y ^(m₂))
⋮		⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮
x ⁽ⁱ⁾		f(x ⁽ⁱ⁾ , y ⁽¹⁾)	f(x ⁽ⁱ⁾ , y ⁽²⁾)	...	f(x ⁽ⁱ⁾ , y ^(j))	...	f(x ⁽ⁱ⁾ , y ^(m₂))
⋮		⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮
x ^(m₁)		f(x ^(m₁) , y ⁽¹⁾)	f(x ^(m₁) , y ⁽²⁾)	...	f(x ^(m₁) , y ^(j))	...	f(x ^(m₁) , y ^(m₂))

განხილულია აგრეთვე შემთხვევა, როცა y ფუნქცია დამოკიდებულია x₁, ..., x_n ცვლადებზე, ე.ი.

$$y = f(x_1, x_2, \dots, x_n), \tag{11}$$

სადაც y განსაზღვრულია Rⁿ -ზე.

დავუშვათ, კმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

$$\left. \begin{aligned} \frac{f(x_1, x_2^{(j+K_2)}, \dots, x_n^{(v)})}{f(x_1, x_2^{(j)}, \dots, x_n^{(v)})} &= \frac{f_1^{(j+K_2, \dots, v)}(x_1)}{f_1^{(j, \dots, v)}(x_1)} = C_{1,j} = f_1(x_1) \\ \frac{f(x_1^{(i+K_1)}, x_2, \dots, x_n^{(v)})}{f(x_1^{(i)}, x_2, \dots, x_n^{(v)})} &= \frac{f_1^{(i+K_1, \dots, v)}(x_2)}{f_2^{(i, \dots, v)}(x_2)} = C_{2,j} = f_2(x_2) \\ &\dots\dots\dots \\ \frac{f(x_1^{(i+K_1)}, x_2^{(j)}, \dots, x_n)}{f(x_1^{(i)}, x_2^{(j)}, \dots, x_n)} &= \frac{f_n^{(i+K_1, j, \dots)}(x_n)}{f_n^{(i, j, \dots)}(x_n)} = C_{n,v} = f_n(x_n) \end{aligned} \right\}, \tag{12}$$

მაშინ (11)-ის მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$y = f(x_1, x_2, \dots, x_n) = f_1(x_1) \cdot f_2(x_2) \dots f_n(x_n); \tag{13}$$

ხოლო, თუ ადგილი აქვს შემდეგ პირობებს:

$$\left. \begin{aligned} f(x_1, x_2^{(j+K_2)}, \dots, x_n^{(v)}) - f(x_1, x_2^{(j)}, \dots, x_n^{(v)}) &= f_1^{(j+K_2, \dots, v)}(x_1) - f_1^{(j, \dots, v)}(x_1) = C_{1,j} = f_1(x_1) \\ f(x_1^{(i+K_1)}, x_2, \dots, x_n^{(v)}) - f(x_1^{(i)}, x_2, \dots, x_n^{(v)}) &= f_1^{(i+K_1, \dots, v)}(x_2) - f_2^{(i, \dots, v)}(x_2) = C_{2,i} = f_2(x_2) \\ &\dots\dots\dots \\ f(x_1^{(i+K_1)}, x_2^{(j)}, \dots, x_n) - f(x_1^{(i)}, x_2^{(j)}, \dots, x_n) &= f_n^{(i+K_1, j, \dots)}(x_n) - f_n^{(i, j, \dots)}(x_n) = C_{n,v} = f_n(x_n) \end{aligned} \right\}, \tag{14}$$

მაშინ (11)-ის მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$y = f(x_1, x_2, \dots, x_n) = f_1(x_1) + f_2(x_2) + \dots + f_n(x_n), \quad (15)$$

სადაც $f_1(x_1), f_2(x_2), \dots, f_n(x_n)$ ერთი ცვლადის ნებისმიერი ფუნქციებია, ამასთან $K_1 \in Z_0, K_2 \in Z_0, \dots, K_n \in Z_0; i \in Z, j \in Z, \dots, v \in Z$.

ამრიგად, თუ გვაქვს R^n -ზე განსაზღვრული n დამოუკიდებელ-ცვლადიანი (11) ფუნქცია, მაშინ (13) ტიპის მოდელის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია, ადგილი ჰქონდეს (12) პირობას; ხოლო (15) ტიპის მოდელის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია, ადგილი ჰქონდეს (14) პირობას.

1-ელ ცხრილში $x^{(i)}$ და $y^{(j)}$ არის x და y დამოუკიდებელი ცვლადების ფიქსირებული დონეები; $i = 1, 2, \dots, m_1; j = 1, 2, \dots, m_2; f(x^{(i)}, y^{(j)})$ – (1)-ის ფიქსირებული მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს 1-ელი ცხრილის კვანძებს.

ერთფაქტორიანი ექსპერიმენტის ცნობილი მეთოდით, 1-ელი ცხრილის საშუალებით ვპოულობთ ერთფაქტორიან ფუნქციებს შემდეგი სახით:

$$\left. \begin{aligned} f(x, y^{(j)}) &= f^{(j)}(x) \\ f(x^{(i)}, y) &= f^{(i)}(y) \end{aligned} \right\} \quad (16)$$

ამის შემდეგ, ვამოწმებთ ამ ფუნქციებით ზემოთ მიღებული ((2) ან (3); (4) ან (5); (6) ან (7)) პირობების (კრიტერიუმების) არსებობას.

თუ (16) აკმაყოფილებს (2) ან (3) პირობებს, მაშინ საძიებელი ფუნქციის ერთ-ერთი (არა ერთადერთი) მოდელი იქნება (8) სახის ნამრავლი; თუ კმაყოფილდება (4) ან (5), მაშინ საძიებელი (1) ფუნქციის მოდელის ერთ-ერთი სახე იქნება (9) სახის ჯამი, ხოლო (6) ან (7) პირობების არსებობისას საძიებელი (1) ფუნქციის ერთ-ერთი მოდელი იქნება (10) ტიპის ხარისხოვან-მაჩვენებლიანი ფუნქცია.

შევნიშნოთ, რომ (2), (3), (4), (5), (6) და (7) პირობები 1-ელი ცხრილიდან შეიძლება დააკმაყოფილოს (8), (9) ფუნქციებისგან განსხვავებულმა სხვა მრავალმა ფუნქციამ.

(1) საძიებელი ფუნქციის (8), (9) ან (10) სახით მოდელის განსაზღვრის შემდეგ, შეზღუდული კლასიკური ცხრილის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ, რომ (1)-ს იქნება ერთ-ერთი შემდეგი ცხადი სახე:

ამრიგად, როცა მივიღებთ (8) მოდულს, მაშინ მის ცხად სახეს ვიპოვით შემდეგი დამოკიდებულებით:

$$z = f(x, y) = f_1(x) \cdot f_2(y) = \frac{f(x, y^{(j)}) \cdot f(x^{(i)}, y)}{f(x^{(i)my^{(j)}}) f(x^{(i)}, y^{(j)})}; \quad (17)$$

როცა მივიღებთ (9) მოდულს მაშინ

$$z = f(x, y) f_1(x) + f_2(y) = f(x, y^{(j)}) + f(x^{(i)}, y) - f(x^{(i)}, y^{(j)}); \quad (18)$$

როცა კმაყოფილდება (10) კრიტერიუმი, მაშინ

$$\lg z = \lg f(x, y) = f_2(y) \cdot \lg f_1(x) = \frac{\lg f(x, y^{(j)}) \cdot \lg f(x^{(i)}, y)}{\lg f(x^{(i)}, y^{(j)})}. \quad (19)$$

(17), (18) და (19)-ში $f(x^{(i)}, y^{(j)})$ წარმოადგენს შეზღუდულ კლასიკურ გეგმაში (იხ. მე-2 ცხრილი) სვეტებისა და სტრიქონების გადაკვეთაში მიღებულ ერთ-ერთ კვანძს, როცა $x = x^{(i)}$ და $y = y^{(j)}$.

ცხრილი 2

x	y	$y^{(1)}$	$y^{(2)}$	$y^{(3)}$...	$y^{(j)}$...	$y^{(m_2)}$
$x^{(1)}$		$f(x^{(1)}, y^{(1)})$	$f(x^{(1)}, y^{(2)})$	$f(x^{(1)}, y^{(3)})$...	$f(x^{(1)}, y^{(j)})$...	$f(x^{(1)}, y^{(m_2)})$
⋮		⋮	⋮	⋮	⋮		⋮	⋮
$x^{(i)}$		$f(x^{(i)}, y^{(1)})$	$f(x^{(i)}, y^{(2)})$	$f(x^{(i)}, y^{(3)})$...	$f(x^{(i)}, y^{(j)})$...	$f(x^{(i)}, y^{(m_2)})$
⋮		⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮
$x^{(m_1)}$		–	–	–	–	$f(x^{(m_1)}, y^{(j)})$	–	–

იმის მიხედვით, თუ რომელ ფუნქციებს შევიყვანოთ (8), (9) და (10) ფორმულებში, გადაკვეთის კვანძებია $f(x^{(1)}, y^{(j)})$ ან $f(x^{(i)}, y^{(j)})$. თუკი ამ დამოკიდებულებებში შეგვყავს $f(x^{(1)}, y)$ ფუნქცია, მაშინ კვანძად მივიღებთ $f(x^{(1)}, y^{(j)})$, ხოლო თუ შეგვყავს $f(x^{(i)}, y)$, მაშინ – $f(x^{(i)}, y^{(j)})$.

იმ შემთხვევაში, როცა მრავალცვლადიანი (11) ფუნქცია მოცემულია ცხრილის სახით და კმაყოფილდება (12) ან (14) კრიტერიუმები, მაშინ (11)-ის ცხად სახეს ვიპოვით ფორმულების მეშვეობით.

ამრიგად, როცა მივიღებთ (13) მოდელს, მაშინ (11)-ის ცხადი სახე იქნება

$$y = \frac{f(x_1, x_2^{(j)}, \dots, x_n^{(v)}) + f(x_1^{(i)}, x_2, \dots, x_n^{(v)}) \cdot \dots \cdot f(x_1^{(i)}, x_2^{(j)}, \dots, x_n)}{[f(x_1^{(i)}, x_2^j, \dots, x_n^{(v)})]^{(n-1)}}. \quad (20)$$

ხოლო, როცა მივიღებთ (15) მოდელს, მაშინ (11)-ის ცხად სახეს ვიპოვით შემდეგი ფორმულით:

$$y = f(x_1, x_2^{(j)}, \dots, x_n^{(v)}) + f(x_1^{(i)}, x_2, \dots, x_n^{(v)}) + \dots + f(x_1^{(i)}, x_2^{(j)}, \dots, x_n) - f(x_1^{(i)}, x_2^j, \dots, x_n^{(v)}) \cdot (n-1), \quad (21)$$

სადაც $f(x_1^{(i)}, x_2^{(j)}, \dots, x_n^{(v)})$ წარმოადგენს შეზღუდული კლასიკური გეგმის კვანძს.

ამ თავში მოყვანილია აგრეთვე პრიზმულ კალაპოტებში წყლის არათანაბარი მოძრაობის ძირითადი დიფერენციალური განტოლებები.

არათანაბარი მოძრაობა შეიძლება დამყარდეს ფსკერის როგორც პირდაპირი ($i > 0$), ისე ნულოვანი ($i = 0$) და უარყოფითი ($i < 0$) ქანობების შემთხვევაში. ხშირად ვხვდებით სითხის ისეთ მოძრაობას, რომელსაც ახასიათებს ნაკადის გასწვრივ ხარჯის ცვლილება, რაც გამოწვეულია სითხის ნაკადის მოძრაობის გზაზე, მისგან გარკვეული ნაწილის გადინებით ან შემოდინებით. პირველ შემთხვევაში, გვაქვს სითხის მოძრაობა ნაკადის გასწვრივ ხარჯის კლებით, ხოლო მეორეში – სითხის მოძრაობა ხარჯის მატებით. ცვლადი მასის დინამიკის განტოლება განსხვავდება მუდმივი მასის დინამიკის განტოლებისაგან, აქ მხედველობაშია მიღებული მასების „შერევის“ (აღრევის) ხარჯზე ენერჯის დანაკარგები. სითხის ნაკადში ეს დანაკარგები ხშირ შემთხვევაში აღწევს სიდიდეებს, რომლებიც გაცილებით დიდია, ვიდრე შიგა „ხახუნზე“ დანაკარგები. ფიზიკურად, მნიშვნელოვანი დანაკარგები შერევაზე აიხსნება სისტემაზე წერტილების მიერთების და მისგან გამოყოფის შედეგად ძირითადი ნაკადის მიმართ ფარდობითი სიჩქარეების ჩაქრობის საფუძველზე. უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა სიჩქარეთა ნაკადების შერევა, რომლებიც მოძრაობს სხვადასხვა პირობებში. პირდაპირი ქანობის შემთხვევაში, ცვლადი ხარჯით სითხის მოძრაობის დიფერენციალურ განტოლებას პრიზმულ კალაპოტებში, როცა ერთდროულად მიმდინარეობს სითხის ხარჯის არათანაბარი მიერთება და გამოყოფა ნაკადის მოძრაობის გასწვრივ ($q_1 \neq q_2 \neq \text{cost}$), აქვს შემდეგი სახე:


$$\frac{dh}{dx} = \frac{i - \frac{Q^2}{K^2} - \frac{\alpha_0(2-a_1)}{g\omega^2} Q \cdot q_1 + \frac{\alpha_0(2-a_2)}{g\omega^2} Q \cdot q_2}{1 - \frac{\alpha_0 Q^2}{g} \cdot \frac{B}{\omega^3} + \frac{\alpha_0(2-a_1)}{g\omega^2} Q \cdot x \cdot \frac{\partial q_1}{\partial h} - \frac{\alpha_0(2-a_2)}{g\omega^2} Q \cdot x \cdot \frac{\partial q_2}{\partial h}}. \quad (22)$$

(22) განტოლებიდან შეიძლება მივიღოთ ყველა კერძო შემთხვევის შესაბამისი განტოლება: $q_1 \neq \text{const}$, როცა მიმდინარეობს ხარჯის მხოლოდ არათანაბარი მიერთება, $q_2 = 0$, $\frac{\partial q_2}{\partial h} = 0$; როცა მიმდინარეობს ხარჯის მხოლოდ არათანაბარი გამოყოფა, $q_2 \neq \text{const}$, $q_1 = 0$, $\frac{\partial q_1}{\partial h} = 0$; როცა მიერთების ხარჯი მუდმივია, ხოლო გამოყოფის ხარჯი ცვალებადი, ე.ი. $q_1 = \text{const}$, $q_2 \neq \text{const}$ და $\frac{\partial q_1}{\partial h} = 0$; როცა მიერთების ხარჯი ცვალებადია, ხოლო გამოყოფის ხარჯი მუდმივი, ე.ი. $q_1 \neq \text{const}$, $q_2 = \text{const}$ და როცა ნაკადის ხარჯი მთელ სიგრძეზე მუდმივია, ამ შემთხვევაში (25)-ში $q_1 = q_2 = 0$, $\frac{\partial q_1}{\partial h} = \frac{\partial q_2}{\partial h} = 0$ და გვექნება:


$$\frac{dh}{dx} = \frac{i - \frac{Q^2}{K^2}}{1 - \frac{\alpha_0 Q^2}{g} \cdot \frac{B}{\omega^3}}. \quad (23)$$

ადვილად შევამჩნევთ, რომ (22)-დან მიღებული (23) განტოლება არის (ჰიდრავლიკის კურსიდან ცნობილი) დამყარებული მდოვრედ ცვლადი ნაკადის არათანაბარი მოძრაობის დიფერენცირებული განტოლება. (22) განტოლება აღწერს ცვლადი ხარჯის სითხის მოძრაობის ზოგად შემთხვევას და შეიძლება გამოვიყენოთ პრიზმულ კალაპოტში თავისუფალი ზედაპირის წირის ასაგებად. ამ თავში მოყვანილია პრიზმულ კალაპოტებში სითხის არათანაბარი მოძრაობის დიფერენციალური განტოლების სრულყოფილი გამოკვლევა; აგრეთვე გამოკვლეულია $h = f(\ell)$ ფუნქციის ყოფაქცევა $\frac{dh}{d\ell}$ წარმოებულის ნიშნის მიხედვით. დადგენილია, როდის განიცდის ფუნქცია წვეტას, ე.ი. როდის ხდება ნაკადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. წყნარიდან მძაფრ მდგომარეობაში ნაკადის გადასვლისას ადგილი აქვს სიღრმის მკვეთრ შემცირებას – წყალვარდნას, ხოლო ნაკადის მძაფრი


მდგომარეობიდან წყნარში გადასვლისას, ადგილი აქვს სიღრმის მკვეთრ ზრდას – ჰიდრავლიკურ ნახტომს. წყლის ნაკადის h სიღრმესა და კრიტიკული h_c სიღრმის თანაფარდობის, $\frac{dh}{d\ell}$ წარმოებულის ნიშნის, კინეტიკურობის Π_c პარამეტრის, Q^2/k^2 ფარდობის, წყლასატრის ფსკერის i ქანობისა და კრიტიკული i_c ქანობების თანაფარდობის საფუძველზე, დადგენილია ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის (დაცემის და შეტბორვის) ასიმპტოტები. განხილულია ნაკადის თავისუფალი ზედაპირების მრუდეთა ძირითადი ფორმები პრიზმულ კალაპოტებში ფსკერის პირდაპირი, ნულოვანი და უკუქანობების შემთხვევაში; ხოლო არათანაბარი მოძრაობის შემთხვევაში, ნაკადის სიღრმე შეიძლება მეტი იყოს ან ნაკლები ნორმალურ და კრიტიკულ სიღრმეებზე. განხილულია შესაძლო სამი ვარიანტი, ე.ი. როცა თავისუფალი ზედაპირის წირი მოთავსებულია a მიდამოში – ნორმალური სიღრმის NN წრფის ზემოთ, b მიდამოში, როცა მოთავსებულია ნორმალურ NN წრფესა და KK კრიტიკულ წრფეს შორის და C მიდამოში, როცა მოთავსებულია ფსკერსა და KK წრფეებს შორის (იხ. ნახ. 1; 2; 3; 4).




ნახ. 1. არათანაბარი მოძრაობა, როცა $i < i_c$ და $h > h_0$; a_1 – შეტბორვის წირი, b_1 – დაცემის (ვარდნის) წირი, c_1 – შეტბორვის წირი



ნახ. 2. წყალსაშვიანი კაშხალი a_1 თავისუფალი ზედაპირის წირი (შეტბორვის წირი)



ნახ. 3. არხის ბოლოში მოწყობილი საფეხური. b_1 დაცემის წირი




ნახ. 4. a_2 თავისუფალი ზედაპირის წირის მდებარეობა, როცა $h > h_0$. შეტბორვის წირი, b_2 – დაცემის წირი, c_2 – შეტბორვის წირი

მოყვანილი კვლევის საფუძველზე, ნაკადის თავისუფალი ზედაპირების ფორმების ვარიანტებით შესაძლებელია დავადგინოთ ნებისმიერი ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის ფორმა. წყალსატარის საფეხურის კვეთის ქვემოთ წყლის ნაკადის დეფორმაციები და თავისუფალი ზედაპირების

წირების ფორმები ნაკლებადაა შესწავლილი, ამასთან ეს ამოცანები აქტუალურია ჰიდროტექნიკური ნაგებობების ჰიდრავლიკური განაგარიშებისათვის. ამ მიზნით, ჩატარებულია პრიზმულ კალაპოტში და საფეხურის ქვემოთ ნაკადის ჰიდრავლიკური პარამეტრების დასადგენად თეორიული კვლევები.

საფეხურის ქვემოთ წყლის ჭავლის ტრაექტორიის მოხაზულობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის წყალსატარის საფეხურის კვეთში ვერტიკალის გასწვრივ წყლის ნაკადის სიჩქარეთა განაწილებაზე. ამ კვეთში ვერტიკალზე სიჩქარეთა განაწილება და ჰიდროდინამიკურ წნევათა განაწილების სურათიც მკვეთრად განსხვავდება წყალსატარის საფეხურის ზემო კვეთებში სიჩქარეთა და წნევათა განაწილებისგან (იხ. ნახ. 6).

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არხის გრძივ პროფილში საფეხურის კვეთის მახლობელ რაიონში ნაკადის თავისუფალი ზედაპირის წირის სიმრუდე იზრდება და ფაქტობრივად ნაკადის სიღრმე კრიტიკულს გაუტოლდება არა საფეხურის კვეთში, არამედ $x-x$ კვეთში, რომელიც მოთავსებულია საფეხურის ზემოთ (დინების საწინააღმდეგოდ) $l = (2 - 2,5)h_3$ მანძილზე (ნახ. 5). შევნიშნოთ, რომ l_x უბანზე და მის ქვემოთ ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მნიშვნელოვანი სიმრუდის გამო, მის საანგარიშოდ ნაკადის მდოვრედ ცვალებადი მოძრაობისათვის მიღებული განტოლების და კრიტიკული სიღრმის გამოყენება არ შეიძლება.



ნახ. 5. წყალსატარში წყლის ნაკადის ჰიდრავლიკური ელემენტების განსაზღვრის საანგარიშო სქემა

პრიზმულ კალაპოტში საფეხურის ზემო (დინების საწინააღმდეგო) მიდამოში ნაკადის ჰიდრავლიკური მახასიათებლების დასადგენად, მოძრაობის რაოდენობის თეორემას აქვს შემდეგი სახე (ნახ.5):

$$\sum_{\kappa=1}^n (\Delta m_{\kappa} \cdot \vec{U}_{\kappa_2}) - \sum_{\kappa=1}^n (\Delta m_{\kappa} \cdot \vec{U}_{\kappa_1}) = \sum_{\kappa=1}^n \vec{R}_{\kappa} \cdot \Delta t, \quad (24)$$

სადაც Δm_{κ} არის ელემენტარული ნაწილაკის მასა; \vec{U}_{κ_1} და \vec{U}_{κ_2} - k -ური წერტილის გასაშუალოებული სიჩქარეები დროის t და $t + \Delta t$ მომენტებში;

\vec{R}_{κ} - k -ურ წერტილზე მოქმედი ყველა გარე ძალის ტოლქმედი;


$m_{\kappa} \vec{U}_{\kappa_1}$ და $m_{\kappa} \vec{U}_{\kappa_2}$ - k -ური წერტილის მოძრაობის რაოდენობა დროის t და $t + \Delta t$ მომენტებში.

იმპულსების (24) განტოლება შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$M \vec{U}_{c_2} - M \vec{U}_{c_1} = \sum_{\kappa=1}^n \vec{R}_{\kappa} \cdot \Delta t, \quad (25)$$

სადაც $M = \sum_{\kappa=1}^n m_{\kappa}$ არის ნაკადის მთლიანი მასა;

\vec{U}_{c_1} და \vec{U}_{c_2} - დროის t და $t + \Delta t$ მომენტში მასათა ცენტრების სიჩქარეები, შესაბამისად I-I და II-II კვეთებში.



ნახ. 6. სიჩქარეთა განაწილების და ზედა ჭავლის ტრაექტორიის განტოლების მისაღები საანგარიშო სქემა

II-II კვეთში ფსკერულ და შუალედურ ჭავლათა სიჩქარეები გამოისახება შემდეგი სახით:

$$U_{2\partial} = \sqrt{2g \left(H_1 + \frac{U_{1\partial}^2}{2g} + iL - h_{f\partial} \right)} = \varphi_{\partial} \sqrt{2g \left(H_1 + \frac{\alpha_1 U_{1\partial}^2}{2g} + iL \right)}, \quad (26)$$

$$U_{2y} = \sqrt{2g \left(H_1 + \frac{U_{1y}^2}{2g} + iL - Y - \frac{P_{2y}}{\gamma} - h_{fy} \right)} = \varphi_y \sqrt{2g \left(H_1 + \frac{U_{1y}^2}{2g} + iL - Y - \frac{P_{2y}}{\gamma} \right)}, \quad (27)$$

სადაც Y არის II-II კვეთში ჭავლის ჩაღრმავება; P_{2y} - ჭავლის ცენტრში პიეზომეტრული დაწნევა II-II კვეთში. მიღებული დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ არსებული უცნობების გარდა, წარმოიშვა ახალი P_{2y} , β_n და β_y უცნობები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე φ_n , φ_{∂} და φ_y უცნობებს. მამასადამე, ამოცანა კიდევ უფრო გართულდა.

P_{2y} - ის განსაზღვრისათვის დავუშვით, რომ ნაკადი არის პოტენციალურია და ნაკადში სიჩქარეები ექვემდებარება ფართობთა კანონს; მაშინ შეიძლება დავწეროთ:

$$U_{2yx} = \frac{r_n}{r_y} \cdot U_{2nx} = \frac{r_{\partial}}{r_y} \cdot U_{2\partial x}, \quad (28)$$

სადაც r_n და r_{∂} არის II-II კვეთში ზედა და ფსკერული ჭავლების სიმრუდის რადიუსები; r_y - იგივე შუალედური ჭავლისათვის.

(28) დამოკიდებულება წარმოადგენს II-II კვეთში სიჩქარეთა განაწილების კანონს. აქ r_n და r_{∂} უცნობი სიდიდეებია, რომელთა საზღვრებში უნდა იცვლებოდეს r_y უცნობი. ცხადია, ამ სიდიდეების განსაზღვრა შესაძლებელია, მაშინ, როცა გვეცოდინება ზედა, ფსკერული და შუალედური ჭავლების ტრაექტორიათა განტოლებები.

საფეხურის კვეთში წნევების განაწილების კანონს აქვს შემდეგი სახე:

